ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-25002012

"24" 08 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, გაგარინის I შესახვევი, №8-ში /გაგარინის I შესახვევი 8ა-ში (საკ. კოდი №01.10.13.009.024) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1508391 13.10.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, გაგარინის I შესახვევი, №8-ში /გაგარინის I შესახვევი, №8ა-ში მდებარე მშენებლობაღამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე კედლებზე ზოგიერთ ადგილას შელესვის ნაცვლად შეფრქვეულია ქვიშა-ცემენტის ხსნარი (ე.წ. ბრიზგი). შეცვლილია დეკორატიული ელემენტების მოწყობა და სამერცხლეების დახრის დეტალები.

ფასადი 7-9 ღერძებში: ±0.00 ნიშნულზე კედელი ბაზალტის ფილებით მოპირკეთების ნაცვლად შეღებილი და შელესილია. +21.30 ნიშნულზე 7-8 მონაკვეთში ღიობში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. 8-9 მონაკვეთში კარი შევსებულია ბადით. +24.00 ნიშნულზე შეცვლილია სატელიტური ანტენების მდებარეობა და რაოდენობა.

ფასადი დ'-ა ღერძებში: ბ'-ბ' ღერძთან შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი. +18.00 ნიშნულზე ა-ა და დ-დ ღერძებთან კარნიზებთან დამატებულია კედლის დეტალები.

გვერდით ფასადებზე ა-ა ღერძთან დამატებულია კედლის დეტალები.

ფასადი ა-დ' ღერძებში: ბ'-გ' მონაკვეთში +21.30 ნიშნულზე დამატებულია ღიობი რომელიც შევსებულია მსუბუქად.

ფასადი 9-7 ღერძებში: ±0.00 ნიშნულზე კედელი ბაზალტის მოპირკეთების ნაცვლად შეღებილი და შელესილია. +15.45 ნიშნულზე 8-8 ღერძთან შემცირებულია ფანჯრის გაბარიტი. +21.30 ნიშნულზე კიბეზე შეცვლილია მოაჯირის ნახატი.

შენობის შიგნით -2.75 ნიშნულზე შეცვლილია საფეხურების მოწყობა. დ'-დ' ღერძზე 7-8 მონაკვეთში ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი. დ'-დ' და ა-ა ღერძებზე შეცვლილია ღიობების მოწყობა და დამატებულია გამწოვი მილები. 7-7 ღერძთან ბ'-ბ' ღერძთან არ არის მოწყობილი კოლონა. +21.50 ნიშნულზე შეცვლილია სამერცხლეების გადახურვის მასალა. სახურავზე მოაჯირში შეცვლილია დაბალი სვეტების მოწყობა. დამატებულია საკომუნიკაციო მილები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შ.პ.ს. ,,თბილოტელი''-ს (დირექტორი ლილი ტყეშელაშვილი, ლევან ეგრისელაშვილი), ქ. თბილისში, გაგარინის I შესახვევი, №8-ში /გაგარინის I შესახვევი 8ა-ში (საკ. კოდი №01.10.13.009.024) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №250020/12 13.07.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**